ოსმალური მილეთის სისტემიდან თანამედროვე თურქულ იდენტობამდე

სანდრო ბაკურაძე

რესპუბლიკური თურქეთის ისტორიაზე საუბრისას, ჩვენს საზოგადოებაში გაბატონებულია აზრი, რომ ეს იყო სეკულარულ-ნაციონალისტური პოლიტიკური სისტემა, სადაც მთავარ როლს თურქი ერი ასრულებდა, ხოლო რელიგია, ქვეყნის სათავეში რეჯეფ თაიფ ერდოღანის მოსვლამდე უკანა პლანზე გახლდათ გადანაცვლებული. თუკი უკეთ დავაკვირდებით რესპუბლიკური პერიოდის პოლიტიკასა და ახალგაზრდა თურქების მოქმედებას 1909 წლის შემდეგ,[1] მივხვდებით, რომ ისლამის გავლენა თურქულ ნაციონალიზმზე ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო და უფრო მეტიც, ხშირად თურქული ნაციონალიზმი ისლამური ნაციონალიზმის სინონის ფუნქციას ითავსებდა.

თურქული საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში გავრცელებულია აზრი, რომ თურქულ იდენტობაში ისლამის როლი დომინანტური გახდა მას შემდეგ, რაც 1980 წლის 12 სექტემბრის სამხედრო გადატრიალებასთან ერთად „ისლამოთურქიზმის“ (Türk-İslam Sentezi) სახელით ცნობილი ისლამური ნაციონალიზმი, თურქეთის რესპუბლიკის დომინანტურ იდეოლოგიად იქცა. თურქული წყაროების მნიშვნელოვანი ნაწილის მიხედვით, „ისლამოთურქიზმი“ ქემალიზმთან, პირველ რიგში კი მის „მემარცხენე“ მიმართულებასთან ანტაგონისტურ პოზიციაში იმყოფება და მისი ერთგვარი საპირწონეა.[2] თუმცა, თუკი გადავხედავთ თურქეთის რესპუბლიკის ფორმირების პირველ წლებსა და სახელმწიფო სტრუქტურას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისლამის როლი თურქულ იდენტობაში ბევრად დიდია და მისი ფესვები ოსმალეთის იმპერიამდე მიდის, სადაც სექტარიანული ეთნო-კულტურული ავტონომიების - მილეთების სისტემიდან გამომდინარე, იდენტობის ძირითადი განმსაზღვრელი არა ეთნიკური კუთვნილება ან მშობლიური ენა, არამედ რელიგია იყო, ხოლო ქემალისტური სეკულარიზმი, არ გახლდათ ევროპული ტიპის სეკულარიზმი და მისი მთავარი ფუნქცია სახელმწიფოს მიერ რელიგიაზე სრული კონტროლის დამყარება გახლდათ.

---

[1] 1909 წლის აპრილში, ადანის პროვინციაში მომხდარ შეტაკებებს მუსლიმებს და სომხებს შორის ათასობით ადამიანი ემსხვერპლა.

[2] მაგ: Çiler Dursun – İdeoloji ve Özne: Türk-İslam Sentezi,Doktora Tezi,Ankara Üniversitesi,2002,გვ.16, მსგავს მოსაზრებას, რომ ისლამოთურქიზმი დომინანტი გახდა მხოლოდ 12 სექტემბრის გადატრიალების შემდეგ ვხვდებით, ფუნდა ქარაფეჰლივანის სტატიაშიც.

მილეთების სისტემა ოსმალეთის იმპერიაში

ოსმალეთის იმპერია, როგორც ყველა იმპერია, მრავალეთნიკური და მრავალრელიგიური სახელმწიფო გახლდათ, რომელიც ერთპიროვნულად სამართავად მეტად რთული გახლდათ, შესაბამისად, სულთნის ხელისუფლება, რელიგიურ და კულტურულ საკითხებში, არადომინანტ ჯგუფებს ფართო ავტონომიას ანიჭებდა, რომელიც არ გახლდათ ტერიტორიული შინაარსის, შესაბამისად, აბრკოლებდა რაიმე სახის ფეოდალური ოპოზიციის წარმოქმნას. იმპერიის მოსახლეობა რელიგიის მიხედვით იქნა დაყოფილი და რელიგიური ჯგუფების ლიდერები ფაქტობრივ ეთნარქებად იქცნენ, რომლებიც თავიანთ სამწყსოებს სულთნის კარზე წარმოადგენდნენ. ხოლო დომინანტი რელიგიური ჯგუფის - მუსლიმების ლიდერი თავად სულთანი გახლდათ, რომელმაც, ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ, 1517 წელს, ხალიფის ტიტული მიიღო და მსოფლიო მუსლიმების ლიდერობაზეც განაცხადა პრეტენზია. თავდაპირველად ოსმალეთის იმპერიაში სამი ძირითადი არამუსლიმი მილეთი არსებობდა - ესენი იყვნენ მართლმადიდებელი ქრისტიანები, რომელთაც კონსტანტინოპოლის პატრიარქი მეთაურობდა და იმპერიის ყველა მართლმადიდებელ ქვეშევრდომს აერთიანებდა ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად,[3] ებრაელები, რომელთაც ხახამბაში მეთაურობდა და სომხები, რომელთაც კონსტანტინოპოლის სომეხი პატრიარქი ედგათ სათავეში. მილეთის სისტემა, საშინაო საქმეებში რელიგიურ ჯგუფებს ფართო ავტონომიას ანიჭებდა; ისეთი საკითხები როგორიც იყო ქორწინება, მემკვიდრეობის გადანაწილება და სხვა, როგორც წესი თემის შიგნითვე წყდებოდა და ცენტრალური სასამართლო სისტემა, რომელსაც სულთნის მიერ დანიშნული მუსლიმი მოხელეები განაგებდნენ, მხოლოდ ერთგვარი სააპელაციო ინსტანციის როლს ასრულებდა, რომელსაც მაშინ მიმართავდნენ, როცა სათემო სასამართლოს გადაწყვეტილება არ ჰყოფნიდა პრობლემის გადაწყვეტას.[4]

მილეთის წევრობა და რელიგია, უმნიშვნელოვანესი იყო პიროვნების ეროვნული კუთვნილების განსაზღვრებაში და რელიგიის შეცვლა, როგორც წესი ეროვნების შეცვლასაც გულისხმობდა. გამუსლიმებული კი, განსაკუთრებით ბალკანეთში „გათურქებულად“ მოიაზრებოდა.[5]

საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ, თანამედროვე ნაციონალიზმის წარმოშობასთან ერთად, ახალმა იდეებმა ოსმალეთის იმპერიაშიც შეაღწია და რადგანაც თანამედროვე იდეებთან ყველაზე მჭიდრო კავშირები არამუსლიმებს ჰქონდათ, ნაციონალიზმმაც პირველად არამუსლიმებში მოიკიდა ფეხი და მილეთის სისტემამ დასუსტება დაიწყო. პირველი ნათელი მაგალითი იმისა, რომ მილეთის სისტემა ვეღარ მუშაობდა, საბერძნეთის რევოლუციისას

[3] დაპყრობილი ქვეყნების ავტოკეფალური ეკლესიები როგორც წესი უქმდებოდა და მათი ეპარქიები და ქონება კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ხელში გადადიოდა. იხ: Bruce Masters, Gabor Agoston – Encyclopedia of the Ottoman Empire,Facts on File, New York, 2008, გვ. 104,239, ISBN-13: 978-0-8160-6259-1

[4] Karen Barkey, George Gavrilis – The Ottoman Millet System: A Form of Non-Territorial Autonomy and its Contemporary Legacy, Ethnopolitics, 2016,Vol. 15, No. 1, გვ. 27

[5] შევადაროთ ჩვენთან არსებული სიტყვა „გათათრება“.

გამოჩნდა, როდესაც, ოსმალებმა წარუმატებლად სცადეს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს გამოყენებით ჩაეხშოთ ამბოხება.[6]

გარდა ამისა, იმპერიის ტერიტორიაზე, რელიგიური მრავალფეროვნების ზრდასთან ერთად იზრდებოდა მილეთების რიცხვიც - მილეთის სტატუსი მიიღეს ლათინური და აღმოსავლური ყაიდის კათოლიკეებმა, პროტესტანტებმა, ასურელებმა და სხვებმა. ხოლო 19-ე საუკუნის პირველ ნახევარში, თანზიმათის სახელით ცნობილი რეფორმების პროცესში დაიწყო ახალი იდეოლოგიის - ოსმანიზმის საფარქვეშ, ახალი, ოსმალური მოქალაქეობის იდეოლოგიის შემუშავება. ამავე პერიოდში გულჰანეს ჰათი შერიფის და 1856 წლის განვითარების ფირმანის[7] გამოცემასთან ერთად, დაიწყო მუშაობა მუსლიმ და არამუსლიმ ოსმალეთის ქვეშევრდომებში სამოქალაქო თვითშეგნების გამოღვიძებისათვის. პროცესში აქტიურად ჩაერთვნენ ახალი თაობის ოსმალო ბიუროკრატებიც, რომლებიც თვლიდნენ, რომ მუსლიმი და არამუსლიმი თემების ინტეგრაციისათვის აქტიური ნაბიჯების გადადგმა იყო საჭირო. ერთ-ერთი ასეთი სახელმწიფო მოღვაწე გახლდათ მიდჰათ ფაშა, რომლის მოღვაწეობაც დუნაის პროვინციის გუბერნატორობის პერიოდში, ოსმანიზმის იდეის განხორციელების ყველაზე გაბედულ მცდელობად მიიჩნეოდა[8] - დუნაის ვილაიეთში მუსლიმი და არამუსლიმი ბავშვები ერთ სკოლებში სწავლობდნენ, არამუსლიმები აქტიურად მონაწილეობდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და სხვა. ხოლო პირველი კონსტიტუციური მმართველობის პერიოდში - 1877-1878 წლებში, არამუსლიმები მეჯლისის დეპუტატთა მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ.[9]

მილეთის სისტემის დასასრული და ოსმალური სამოქალაქო იდენტობის შექმნის წარუმატებელი მცდელობა

ოსმალეთის სახელმწიფოს მცდელობებს შეექმნა ერთიანი ოსმალური სამოქალაქო იდენტობა, არაერთგვაროვანი რეაქციები მოჰყვა როგორც მუსლიმი, ისე არამუსლიმი თემების მხრიდან. მუსლიმებისთვის პრობლემა იყო, რომ მანამდე მეორე კლასის მოქალაქე არამუსლიმები კანონით მათი თანასწორნი იქნებოდნენ, ხოლო არამუსლიმები უკმაყოფილოები იყვნენ ისეთი პერსპექტივებით, როგორიც იყო სავალდებულო სამხედრო სამსახური. ასევე უკმაყოფილებას იწვევდა რეფორმების ფარგლებში გატარებული საკანონმდებლო ცვლილებები - 1844 წელს გაუქმდა სიკვდილით დასჯა ისლამის დატოვებისთვის, 1856 წლის განვითარების ფირმანმა აღიარა რელიგიის თავისუფლება, რომელიც 1876 წელს, ოსმალეთის პირველი კონსტიტუციით იქნა გარანტირებული.[10] 1869 წელს კი მიღებული იქნა ახალი კანონი მოქალაქეობის შესახებ,

---

[6] ამ წარუმატებლობისათვის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სამღვდელოება სასტიკად დაისაჯა, სხვა სასულიერო პირებთან ერთად სიკვდილით დასაჯეს პატრიარქი გრიგოლ მეხუთეც. იხ: Theophilus C. Prousis - British Embassy Reports on the Greek Uprising in 1821-1822: War of Independence or War of Religion ?, UNF, History Faculty Publications. 21, გვ. 171-222, Emmanouil Chalkiadakis - Reconsidering the Past: Ecumenical Patriarch Gregory V and the Greek Revolution of 1821" in Synthesis, scientific ejournal of the Faculty of Theology of Aristotle University of Thessaloniki. vol. 6, No 1 (2017). გვ. 177-204

[7] İslahat Fermanı

[8] Modern Türkiye'de Siyasi Düşünce, Cilt 1, İletişim Yayınları, İstanbul, 2009, გვ.98-99

[9] 115 დეპუტატიდან 46 არამუსლიმი იყო.

[10] Selim Deringil – Conversion and Apostasy in The Late Ottoman Empire, Cambridge University Press, 2012, გვ.7, isbn 978 1 107 00455 9

რომელიც უახლოვდებოდა იმ პერიოდის ევროპის ქვეყნებში არსებულ მსგავს კანონებს; მაგალითად ისლამზე მოქცევა აღარ იყო საკმარისი იმისათვის, რომ პიროვნება სულთნის ქვეშევრდომი და იმპერიის მოქალაქე გამხდარიყო, გაჩნდა ცნება მუსლიმი უცხოელი, შეიზღუდა ქორწინება უცხოელებთან და სხვა.[11]

საერთო ოსმალური იდენტობის ჩამოყალიბებას ხელს უშლიდა ის ფაქტიც, რომ ოსმალეთის იმპერიის მიერ სხვადასხვა დროს ხელმოწერილი კაპიტულაციები, ევროპულ ქვეყნებს ანიჭებდა უფლებას განეხორციელებინა იმპერიის არამუსლიმი ქვეშევრდომების „მფარველობა“,[12] რის შედეგადაც, ბევრმა არამუსლიმმა სხვადასხვა ევროპული ქვეყნის მოქალაქეობა მიიღო, რაც მუსლიმებში აძლიერებდა აზრს, რომ არამუსლიმები ერთგვარი მეხუთე კოლონა იყო. მიუხედავად ამისა, გაძლიერდა არამუსლიმების ინტეგრაცია და განსაკუთრებით საჯარო სამსახურში ბევრმა არამუსლიმმა უმაღლეს თანამდებობებს მიაღწია.

ოსმალური სამოქალაქო ნაციონალიზმის შექმნის მცდელობებმა ვერ შეძლო შეეჩერებინა იმპერიის რღვევა და 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში, იმპერიამ ქრისტიანული ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგა. მიუხედავად ამისა, ლიბანში, ანატოლიაში, თრაკიასა და მაკედონიაში კვლავ დიდი იყო ქრისტიანების რაოდენობა და ოსმანიზმი კვლავ ინარჩუნებდა გარკვეულ საყრდენს. თუმცა ამ პერიოდის ოსმანისტი მუსლიმი ინტელექტუალების აზრებში უკვე ვხვდებით ისლამური ნაციონალიზმის საწყისებს. ამ კუთხით, პიონერად შეგვიძლია მივიჩნიოთ ნამიკ ქემალი, რომელიც თავის ნაწერებში ღიად უსვამდა ხაზს ისლამის მნიშვნელობას ოსმალური/თურქული იდენტობის ფორმირებაში. ხოლო პირველი, ვინც თანამედროვე ნაციონალიზმის ჩარჩოებში ცნება თურქი ცნება მუსლიმთან გააიგივა ალი სუავი გახლდათ.[13]

1878 წელს, სულთანმა აბდულჰამიდ II-მ მეჯლისი ფაქტობრივად დაშალა და ქვეყნის ერთპიროვნულ მმართველად იქცა. აბდულჰამიდმა, რომელმაც კარგად უწყოდა ის საფრთხეები, რომელთა წინაშეც იმპერია იდგა, იმპერიის მუსლიმი მოსახლეობის კონსოლიდაციის მიზნით ისლამის და სულთნის, როგორც ხალიფის და მსოფლიოს მუსლიმთა ლიდერის როლზე განსაკუთრებული აქცენტის დასმა დაიწყო. აბდულჰამიდის მცდელობები გარკვეულწილად შედეგიანი იყო, თუმცა ვერ დააბრკოლა მათ შორის, ვერც იმპერიის მუსლიმ ხალხებში ნაციონალიზმის ზრდა, რისი მაგალითიც იყო 1878 წელს ძირითადად მუსლიმი ალბანელების მიერ პრიზრენის ლიგის შექმნა, რომელიც, მართალია არ ატარებდა სეპარატისტულ ხასიათს, მაგრამ მიზნად ისახავდა იმპერიაში მცხოვრები ალბანელების დე ფაქტო ავტონომიის შენარჩუნებას.[14]

---

[11] იქვე, გვ. 252

[12] Behlül Özkan – From the Abode of İslam to The Turksih Vatan: The Making of National Homeland in Turkey, Yale University Press, 2014, გვ. 35, ISBN 978-0-300-17201-0

[13] Özkan,2014, გვ. 43

[14] იხ:Stavro Skendi - Beginnings of Albanian Nationalist and Autonomous Trends: The Albanian League, 1878-1881American Slavic and East European Review,Vol. 12, No. 2 (Apr., 1953), pp. 219-232

1878 წლის შემდეგ შექმნილ სტატუს-კვოს, რის შედეგადაც ფაქტობრივად დაიკარგა იმპერიის ბალკანური ტერიტორიების დიდი ნაწილი, თან დაერთო დღითიდღე მზარდი შეტაკებები იმპერიის აღმოსავლეთში, ადგილობრივ, მეტწილად ქურთ, მუსლიმებს და სომხებს შორის. მიუხედავად სხვადასხვა რელიგიების მიმდევრებს შორის მზარდი დაპირისპირებისა, ოსმალო ინტელექტუალები კვლავ იმედს იტოვებდნენ, რომ ოსმანიზმის, როგორც იდეოლოგიის გადარჩენა შესაძლებელი იყო და 1889 წელს დაარსდა ოსმალთა ერთობის საიდუმლო საზოგადოება(İttihad-i Osmani), რომელიც, ოსმანიზმის ნიადაგზე, იმპერიაში კონსტიტუციური და დემოკრატიული წყობის დამყარებას ისახავდა მიზნად. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორგანიზაციის წევრები მიზნად ოსმალური სამოქალაქო იდენტობის ფორმირებას ისახავდნენ მიზნად. ოსმალური იდენტობა კი უნდა გამყარებულიყო კონსტიტუციის,კულტურული ავტონომიის და თანასწორობის გზით, სანაცვლოდ კი, სახელმწიფო და საურთიერთო ენა იქნებოდა თურქული.[15] ამავე პერიოდში, ოსმალეთის იმპერიაში შემოსვლას იწყებს სეკულარული ნაციონალიზმიც. მაგალითად, ალბანური წარმოშობის თურქი მოაზროვნე შემსედინ სამი, ღიად გადიოდა მილეთის სისტემის საზღვრებს მიღმა და თვლიდა, რომ კაპადოკიელი თურქულენოვანი მართლმადიდებლები ისეთივე თურქები იყვნენ, როგორც თურქულენოვანი მუსლიმები,[16] მისივე აზრით, ყველა მუსლიმი არ იყო თურქი, თუმცა ალბანელი შეიძლება ამავე დროს ყოფილიყო თურქიც და ოსმალოც.

აბდულჰამიდის მმართველობის პერიოდში, მიუხედავად მანამდე არსებული მოქალაქეობის პოლიტიკის შენარჩუნებისა, რელიგიურ თემებს შორის დაპირისპირება გაღრმავდა, 1894-1896 წლებში, აღმოსავლეთ პროვინციებში მომხდარ შეტაკებებს რამდენიმე ათეული ათასი სომეხი ემსხვერპლა, ხოლო 1898 წელს, ფაქტობრივად დაიკარგა კუნძული კრეტა.

1908 წელს ოსმალთა ერთობის საზოგადოების გაგრძელებამ - ახალგაზრდა თურქების სახელით ცნობილმა „ერთობის და პროგრესის კომიტეტმა“ გადატრიალება მოახდინა და სულთანი აბდულჰამიდი აიძულა კონსტიტუციის მოქმედება აღედგინა და მეჯლისი მოეწვია.

ახალგაზრდა თურქების მმართველობა - ოსმალიზმი, თურქიზმი, პანთურქიზმი

1908 წლის რევოლუციას ოსმალეთის მოსახლეობაში დიდი ეიფორია მოჰყვა, როგორც მუსლიმ, ისე არამუსლიმ ოსმალებს სჯეროდათ, რომ ახალი ეპოქა და ახალი ცხოვრება იმპერიის ცხოვრებაში გარდამტეხი იქნებოდა და ევროპული ტიპის, დემოკრატიული კოსტიტუციური მონარქიის იდეა ხორცს შეისხამდა. ახალგაზრდა თურქების იმედებმა, რომ ეს შესაძლებელი იყო, ახალი დასაყრდენი მოიპოვა 1909 წლის 31 მარტის ამბოხების ჩახშობის შემდეგ, რამაც კომიტეტს საშუალება მისცა ხელისუფლებიდან ჩამოეშორებინათ აბდულჰამიდი და მის

[15] Modern Türkiye'de Siyasi Düşünce, Cilt 1, İletişim Yayınları, İstanbul, 2009, გვ.108

[16] Bernard Lewis, Benjamin Braude (Eds.) – Christians and Jews in The Ottoman Empire, Holmes & Meier, New York, 1982, გვ. 186, ISBN 0-8419-0519-3

ნაცვლად ტახტზე დაესვათ მისი ძმა მეჰმედ V, რომელსაც, პოლიტიკური ამბიციები არ გააჩნდა და შესაბამისად, არც აბდულჰამიდის პანისლამიზმის პოლიტიკის გაგრძელება შეეძლო.[17]

მიუხედავად ახალგაზრდა თურქების იდეალებისა, მწარე რეალობა, რომ რელიგიური სხვაობა ბევრს ნიშნავდა და იმპერიაში მცხოვრები არამუსლიმების დიდი ნაწილის იდენტობა სხვაგვარად ვითარდებოდა, 1908 წელსვე გამოჩნდა - დე ფაქტო დამოუკიდებელმა ბულგარეთმა ოფიციალურად გამოაცხადა დამოუკიდებლობა, კრეტა საბერძნეთის მიერ იქნა ანექსირებული, ხოლო ბოსნია ავსტრია-უნგრეთმა მიიერთა. ჰარმონია არც იმპერიის შიგნით მცხოვრებ რელიგიურ ჯგუფებს შორის სუფევდა - 1909 წლის აპრილში, ისტორიულ კილიკიაში - ადანის პროვინციაში სომხებს და მუსლიმებს შორის მომხდარ დაპირისპირებას ათასობით სომეხი ემსხვერპლა. ახალგაზრდა თურქების ხელისუფლებამ მომხდარისგან დისტანცირება მოახდინა და დამნაშავეების დიდი ნაწილი დასაჯა, თუმცა სომხური თემი არ მიიჩნევდა, რომ სამართლიანობა აღსრულდა.[18]

წინააღმდეგობა მოჰყვა განათლების სისტემის და ენობრივი ცენტრალიზაციის მცდელობებსაც, ამჯერად როგორც არამუსლიმი, ისე მუსლიმი მოსახლეობის მხრიდან, მაგალითად, ახალგაზრდა თურქების მცდელობას, დაენერგათ ოსმალური ანბანი როგორც მედიუმი ალბანური ენისათვის ამბოხება მოჰყვა, რამაც ისინი აიძულა უკან დაეხიათ.[19] დიდი უკმაყოფილება გამოიწვია სავალდებულო სამხედრო სამსახურის გადასახადის გაუქმებამ და 1909 წლის ოქტომბრის საყოველთაო გაწვევამ, რაც არამუსლიმების ჯარში მასობრივად გაწვევის პირველი პრეცენდენტი იყო ოსმალეთის ისტორიაში.[20]

ოსმალური სამოქალაქო იდენტობის შექმნის მცდელობების წარუმატებლობის მიუხედავად, ახალგაზრდა თურქები კვლავ იტოვებდნენ იმედს, რომ მათი მიზნის მიღწევა შესაძლებელი იყო. სურათი მკვეთრად შეცვალა ბალკანეთის ომებმა. 1911-1912 წლების ომმა იტალიასთან ლიბიის და ეგეოსის ზღვის კუნძულების დაკარგვა გამოიწვია, რითაც ისარგებლა ოპოზიციამ და ახალგაზრდა თურქები ხელისუფლებას ჩამოაშორა. შექმნილი არასტაბილურობით კი ისარგებლეს ბალკანეთის სახელმწიფოებმა და ოსმალეთის იმპერიას ომი გამოუცხადეს, შედეგად, დაიკარგა იმპერიის მთელი ევროპული ტერიტორიები, გარდა აღმოსავლეთ თრაკიისა, რომელიც ოსმალებმა, პირველ ბალკანეთის ომში დამარცხებული ხელისუფლების წინააღმდეგ განხორციელებული კონტრგადატრიალების შედეგად ხელისუფლებაში დაბრუნებული ახალგაზრდა თურქების მეთაურობით, 1913 წელს, მეორე ბალკანური ომის დროს დაიბრუნეს ბულგარელებისგან, რომლებიც ყოფილ მოკავშირეებს - სერბებს, რუმინელებს და ბერძნებს ეომებოდნენ.

---

[17] 1909 წლის 31 მარტის აჯანყებას ჰქონდა ისლამისტური მოტივები და ახალგაზრდა თურქების რეფორმების წინააღმდეგ იყო მიმართული. იხ: Eric J. Zürcher – Türkey – A Modern History, İ.B. Tauris,2014,გვ. 93-96

[18] იხ:Bedross Der Matossian - From Bloodless Revolution to Bloody Counterrevolution: The Adana Massacres of 1909 Genocide Studies and Prevention 6:2 (Summer 2011), pp. 152–173

[19] Lewis,Braude(Eds.), 1982, გვ. 411

[20] Erik J. Zürcher – The Young Turk Legacy and Nation Building,I.B. Tauris, London, 2010, გვ. 70, ISBN: 978 1 84885 271 6

ბალკანეთის ომებმა ახალგაზრდა თურქებს შორის უდიდესი ტრავმა შექმნა. ახალგაზრდა თურქებმა სრულიად დაკარგეს როგორც ოსმანიზმის იდეოლოგიისადმი რწმენა, ისე ყოველგვარი ნდობა, რაც არამუსლიმების მიმართ გააჩნდათ. უდიდესი ფსიქოლოგიური ტრავმა იყო რუმელიის,[21] განსაკუთრებით კი ქალაქ სალონიკის დაკარგვა, რომელიც ახალგაზრდა თურქების უმეტესობის სამშობლო და ერთობის და პროგრესის საზოგადოების დაარსების ადგილი იყო.[22] ოსმანიზმის საპირწონედ კი თურქიზმი და პანთურქიზმი იქნა მიჩნეული.

არამუსლიმებიდან მუსლიმების ერთადერთ პოლიტიკურ მოკავშირედ ებრაელები დარჩნენ, ერთობის და პროგრესის საზოგადოების პარტიულ პროგრამას უპირობოდ მხარი მხოლოდ მათ დაუჭირეს. ებრაელებს შორის აგრეთვე იყვნენ მოის კოენის, იგივე თექინალფის ტიპის ინტელექტუალებიც, რომლებიც ებრაელების გათურქების პოლიტიკას უჭერდნენ მხარს.[23]

რაც შეეხებათ მუსლიმებს, ალბანეთის და ლიბიის დაკარგვის შემდეგ, ისინი გაორების მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ერთის მხრივ იმპერია ინარჩუნებდა მუსლიმი არაბებით დასახლებულ ახლო აღმოსავლეთს, მეორე მხრივ კი ცხადი იყო, რომ მხოლოდ ისლამი იმპერიის ტერიტორიული მთლიანობის დამცველ იდეოლოგიურ დუღაბად ვერ გამოდგებოდა. მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ ბალკანეთის ომების დროს რუმელიიდან არაერთი მუსლიმი დევნილი გადმოსახლდა, რომელთა გამოდევნის მთავარი მიზეზი არა ეთნიკური,არამედ რელიგიური კუთვნილება იყო.[24]

გაორებას გამოხატავდა ჯერ კიდევ ბალკანეთის ომებამდე დაარსებული თურქისტული ორგანიზაციების პოლიტიკაც, ერთი მხრივ ბევრი მათგანი ტერმინებს თურქი, ოსმალო და მუსლიმი იყენებდა, როგორც სინონიმებს, მეორე მხრივ კი, არ უარყოფდნენ ეთნიკური ჯგუფების არსებობას და თვლიდნენ, რომ მთავარი გამაერთიანებელი ფაქტორი სახელმწიფო ენა იყო.[25]

ამავე პერიოდში გაჩნდა ფიქრი ეროვნული, თურქული ისლამის შესახებ, რომლის ფუძემდებლადაც ზია გოქალფი გვევლინება. მის ლექსში „სამშობლო“ ასეთ სტრიქონებს ვკითხულობთ: *„ქვეყნის მეჩეთში აზანი იკითხებოდეს თურქულად/და გლეხს ესმოდეს თავისი ლოცვა/ქვეყნის მაქთაბში ყურანი იკითხებოდეს თურქულად/დიდს და პატარას ესმოდეს წმინდა სიტყვები უფლისა/ აი ეს არის სამშობლო შვილისა თურქი ერისა!“*[26] ამავე ლექსის შემდეგ სტრიქონებში კი ზია გოქალფი გამოხატავს სურვილს, რომ თურქის სამშობლოში, ხალხი

---

[21] ოსმალეთის იმპერიის ბალკანური ტერიტორიები

[22] Zürcher,2010,გვ. 118

[23] Modern Türkiye'de Siyasi Düşünce, Cilt 1, İletişim Yayınları, İstanbul, 2009, გვ.114

[24] ოსმალეთის იმპერია ბალკანეთიდან დევნილებს იღებდა არა ეროვნების არამედ რელიგიის საფუძველზე, ასევე, საკუთარი ნებით გადმოსახლებულ ალბანელებს,ბოსნიელებს,მუსლიმ ბოშებს და სხვა არათურქ მუსლიმებს ჰქონდათ სრული უფლება მოეთხოვათ ოსმალური პასპორტი და ანატოლიაში დასახლების უფლება. იხ: Fuat Dündar – İttihat ve Terakki'nin Müslümanları İskan Politikası(1913-1918),İletişim Yayınları, İstanbul, 2002,გვ.110-111,124-128.

[25] ეს პოზიცია ჰქონდათ მაგალითად ახალგაზრდა კალმოსნების (Genç Kalemler) ლიტერატურული საზოგადოების წევრებს. იხ: Modern Türkiye'de Siyasi Düşünce, Cilt 1, İletişim Yayınları, İstanbul, 2009, გვ.185

[26] თარგმანი ეკუთვნის სტატიის ავტორს. - ს.ბ.

საერთო ენის, იდეალის და რწმენის გარშემო გაერთიანდეს და ამავე დროს, ის იყოს ქვეყნის ეკონომიკური დოვლათის ერთადერთი მფლობელი.[27]

საბოლოოდ, თურქიზმის და ისლამის შერწყმა მხოლოდ 1913 წლის შემდეგ იწყება და აქაც, ორი მთავარი მიმართულება იკვეთებოდა. პირველი, ეს გახლდათ პანთურქიზმი, რომელიც თურქული მოდგმის მუსლიმი ხალხების გაერთიანებას ისახავდა მიზნად, მეორე კი იყო თურქული ნაციონალიზმი, რომელიც თავისი ესენციით ვიწრო ანატოლიურ-თურქული ნაციონალიზმის ფორმას ატარებდა.[28] ბალკანეთის ომები ამ მხრივ, ახალგაზრდა თურქების და ზოგადად ანატოლიელი მუსლიმების გონებაში გარდატეხის წერტილად იქცა - დაიკარგა უკანასკნელი ტერიტორიები, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა არამუსლიმი იყო, ხოლო ალბანეთისნაირი ძირითადად მუსლიმებით დასახლებული ტერიტორიის დაკარგვამ კი ღიად არათურქული იდენტობის მქონე მუსლიმების მიმართ უნდობლობა გააღვივა. ასეთ რეალობაში, ახალგაზრდა თურქების იდეოლოგიამ ტრანსფორმაცია დაიწყო და ოსმანიზმის მაგივრად, უფრო ვიწრო, თურქულ-ისლამური იდენტობის გარშემო დაიწყო მობილიზაცია, სადაც კვლავ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა რელიგია - იმპერია ჯერ ისევ განაგებდა ქურთებით და არაბებით დასახლებულ ახლო აღმოსავლეთს, სადაც იმპერიის ლეგიტიმაცია სულთნის, როგორც ხალიფის სტატუსზეც საკმაოდ იყო დამოკიდებული.

პირველი მსოფლიო ომი, იმპერიის დასასრული და თანამედროვე თურქი ერის ჩამოყალიბების დასაწყისი

ოსმალეთის იმპერიის პირველ მსოფლიო ომში ჩართვის მთავარი მოტივაცია დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება იყო, ხოლო ცენტრალური ქვეყნების მხარეს მონაწილეობის მიზეზებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გახლდათ ის, რომ გერმანიას და ავსტრია-უნგრეთს ცუდი ურთიერთობა ჰქონდათ ბალკანეთის ქვეყნებთან, რომლებთანაც ოსმალეთს ტერიტორიული პრეტენზიები ჰქონდათ. გამონაკლისი იყო მეორე ბალკანეთის ომის დამარცხებული მხარე ბულგარეთი. მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ისიც, რომ ახალგაზრდა თურქებში ახლადფეხმოკიდებული პანთურქისტული იდეოლოგიის სამიზნე თიურქული ხალხების აბსოლუტური უმრავლესობა გერმანიის მტრის - რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე ცხოვრობდა.

პირველი მსოფლიო ომი ოსმალეთისთვის საკმაოდ მძიმედ წარიმართა და მოკლე ხანში, როგორც ოსმანიზმის, ისე ისლამიზმის იდეოლოგიური დასასრულის მიზეზი გახდა. ოსმანიზმის და ფართო კონტექსტში სამოქალაქო ნაციონალიზმის წარუმატებლობის მთავარი მიზეზი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ომის პერიოდში და მანამდე, ოსმალეთის მოქალაქე ქრისტიანების საკმაო ნაწილის პოზიცია გახდა.[29] დღის წესრიგში დგება ანატოლიის

[27] ლექსის ტექსტი იხ:https://www.antoloji.com/vatan-271-siiri/
[28] Özkan, 2014,გვ.67-71
[29] ანატოლიის, როგორც თურქების სამშობლოს იდეა პოპულარობას სწორედ ბალკანეთის ომებისას მუსლიმების წინააღმდეგ განხორციელებულ დევნასთან ერთად პოპულარული ხდება. იხ: Dündar, 2002, გვ.36-37

ჰომოგენიზაცია და მისი პირველ რიგში ბალკანეთიდან გადმოსახლებული მუსლიმებით დასახლების პოლიტიკა, რაც სხვადასხვა მეთოდებით განხორციელდა.[30]

ამ პერიოდში, ანატოლიის ეთნიკურად ჰომოგენიზაციის პროცესი აქტიურად იწყება და როგორც მისი დინამიკა გვაჩვენებს, თავდაპირველად წინა პლანზე ეთნიკურზე მეტად რელიგიური და გეოგრაფიული ფაქტორები იდგა. მაგალითად თავდაპირველად ეს პროცესი შავი, ეგეოსის და ხმელთაშუა ზღვების სანაპიროების სტრატეგიულ ადგილებზე მცხოვრები ბერძნების წინააღმდეგ იყო მიმართული და მთლიანად იმპერიის ბერძენი მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ხასიათი არ ჰქონია.[31] თუმცა ომის მიმდინარეობასთან ერთად სურათი შეიცვალა და აღმოსავლეთ ფრონტზე რუსეთის არმიის წინსვლასთან ერთად, სომხების და ასურელების მიმართ ბევრად უფრო რადიკალური ზომები იქნა გამოყენებული.

ნიშანდობლივია, რომ ამავე პერიოდში მოეწერა ხელი შეთანხმებებს საბერძნეთთან და ბულგარეთთან მოსახლეობის გაცვლაზე,[32] რომლებიც მოგვიანებით განხორციელებული თურქულ-ბერძნული მოსახლეობის გაცვლის პროცესის ერთგვარ პრელუდიად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

მიუხედავად სულთნის, როგორც ხალიფის მნიშვნელოვანი როლისა და ნაციონალისტურ დისკურსში ისლამის მნიშვნელობისა, პირველ მსოფლიო ომში არაოსმალი მუსლიმების დიდი ნაწილის პოზიციამ და 1916 წელს არაბეთის ნახევარკუნძულზე მომხდარმა ჰაშიმიანთა ამბოხებამ თურქულ ნაციონალისტურ ნარატივში პანისლამიზმი დაასუსტა და წინა პლანზე ისლამური ელფერის მქონე, მაგრამ ანატოლიის გარშემო კონცენტრირებული ნარატივი წამოწია. სულთნის, როგორც ხალიფის, მიერ გამოცხადებული ჯიჰადი საკმაოდ წარუმატებელი გამოდგა და როგორც აღმოჩნდა, მისი ერთადერთი რეალური წარმატება, ანატოლიის მუსლიმი მოსახლეობის ოსმალეთის დროშის ქვეშ მობილიზაცია გამოდგა.[33] ჯიჰადის ჩავარდნასთან ერთად პანისლამიზმის წარუმატებლობასთან დაკავშირებული მეორე დიდი იმედგაცრუება 1916 წლის ამბოხი გახდა, როდესაც, იმპერიამ, გარდა ახლო აღმოსავლური ტერიტორიებისა, ისლამის ორი მთავარი წმინდა ქალაქი - მექა და მედინაც დაკარგა, რასაც ავტომატურად მოჰყვა ხალიფის ლეგიტიმაციის დასუსტებაც. არაბულმა ამბოხმა და ახლო აღმოსავლური ტერიტორიების დაკარგვამ თურქულ პოლიტიკურ ელიტებში დაამკვიდრა აზრი არაბების

[30] ანატოლიის ეთნიკური ჰომოგენიზაციის მოტივაციაზე სხვადასხვა ვერსიები არსებობს, დუნდარი ბალკანეთიდან გადმოსახლებული მოსახლეობისთვის შესაფერისი პირობების შექმნას მთავარ მოტივაციდან მიიჩნევს, ბეჰლულ ოზქანი თვლის, რომ საკითხი ძირითადად არამუსლიმი მოსახლეობის პოლიტიკურ ერთგულებაში დაეჭვებას ეხებოდა და ამის მაგალითად თითქმის 1916 წლამდე, ახალგაზრდა თურქების მიერ ისლამიზმის გამოყენების მცდელობებს, განსაკუთრებით კი სულთნის მიერ ჯიჰადის გამოცხადებას, წარმოაჩენს. იხ: Özkan, 2014,გვ.72

[31] იხ:Mustafa Özdemir – I. Dünya Savaşında Osmanlı Devleti Tarafından Gerçekleştirilen Rum Tehciri, ÇTTAD, VI/14, (2007/Bahar), გვ. 27–40

[32] Soner Çağaptay – İslam,Secularism and Nationalism:Who is a Türk?, Routledge, New York, 2006,გვ.8

[33]იხ. Jan Erik Zürcher (Ed.) – Jihad and Islam in WWI, Leiden University Press, 2015, გვ.95-117

„მოღალატეობის“ შესახებ, რომელიც, თურქულ ნაციონალისტურ, განსაკუთრებით ქემალისტურ ნარატივში დღემდე აქტუალურია.[34]

1918 წლისთვის, ოსმალეთის იმპერიის მარცხთან ერთად, ცხადი იყო, რომ ოსმანიზმი და პანისლამიზმი გაკოტრებული იდეოლოგიები იყო. ოსმანიზმი არაეფექტური გამოდგა საკუთარი ნაციონალისტური ნარატივების მქონე არამუსლიმების ინტეგრაციისათვის, ხოლო პანისლამიზმი არაეფექტური გამოდგა და ვერ მოახერხა არათუ უცხოელი, არამედ იმპერიის მცხოვრები არათურქი მუსლიმების საკმაო ნაწილის ოსმალეთის დროშის ქვეშ მობილიზებაც კი.

საჭირო იყო ახალი ეროვნული ნარატივი, არამუსლიმების უმეტესობის პოლიტიკური ლოიალობა საეჭვო იყო, ანატოლიის ტერიტორიაზე მცხოვრები მუსლიმების საკმაო ნაწილი ეთნიკურად თურქი არ იყო, ხოლო ომის შედეგად დასუსტებულ იმპერიას იმის ძალა, რომ სხვა თიურქული მოდგმის ხალხების შემოერთება ეცადა, არ გააჩნდა.[35] ცხადი იყო, რომ ახლებური ტიპის ნაციონალიზმი პირველ რიგში ***ეთნიკური და ტერიტორიული უნდა ყოფილიყო, მაგრამ ისლამის გარკვეული როლით*** - ჩერქეზები, ლაზები, ქურთები, ბოსნიელები, ალბანელები და სხვა არათურქი მუსლიმების გამაერთიანებელი დუღაბი არა ენა ან ეთნიკური ნათესაობა, არამედ მუსლიმური მილეთის წევრობა იყო. ასევე ისლამი იყო ის, რის გამოც ბალკანეთიდან და ჩრდილო კავკასიიდან გადმოსახლებული მუჰაჯირები, მუჰაჯირებად იქცნენ და თავიანთ საბოლოო ნავსაყუდელად ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიები აირჩიეს, სადაც მდებარეობდა წმინდა ადგილები და რომელსაც სულთან-ხალიფა განაგებდა, რომელსაც მსოფლიოს მუსლიმთა სულიერ ლიდერობაზე ჰქონდა პრეტენზია.

სტამბოლის ოკუპაცია ანტანტის მიერ და თურქულ-ბერძნული ომის პერიოდი

ომში ცენტრალური ქვეყნების დამარცხებასთან ერთად, ოსმალეთის იმპერიაც დამარცხებულ მხარეს აღმოჩნდა, თუმცა, ოსმალეთის მოსახლეობის მორალზე იმოქმედა არა იმდენად თავად ომში მარცხმა, არამედ ანტანტის ქვეყნების გადაწყვეტილებამ, მიეცათ უფლება საბერძნეთის არმიისათვის მოეხდინა იზმირის და სტამბოლის ოკუპაცია, რასაც თან დაერთო ამ ტერიტორიებზე მცხოვრები ბერძნების და გარკვეულწილად სხვა არამუსლიმების ნაწილის ღია მხარდაჭერა საოკუპაციო არმიის მიმართ[36], რაც, სტამბოლიდან დაწყებული დიდი საპროტესტო ტალღის დასაწყისი გახდა და ამავე დროს, საბოლოოდ ამოაგდო არამუსლიმები ახალი ნაციონალისტური ნარატივიდან, რომელიც თურქიზმს ემყარებოდა.

ამავე დროს, ანატოლიაში ძალას იკრებდა წინააღმდეგობის მოძრაობა, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერდა სევრის ზავის შემდეგ, რომელიც, ფაქტობრივად ანაწევრებდა ანატოლიას ანტანტის მომხრე სხვადასხვა ძალებს შორის.[37] სევრის ზავს მართალია ხელი

---

[34] მაგალითისთვის იხ: https://odatv.com/arap-ihaneti-100-yasinda-0611161200.html, https://www.yenicaggazetesi.com.tr/ingiliz-belgelerinde-arap-ihaneti-ve-rus-fransiz-paylasimi-18445yy.htm

[35] ერთადერთი ასეთი მცდელობა ომის მიწურულს, 1918 წლის ბოლოს განხორციელდა, როდესაც „ისლამის არმიის“ სახელის ქვეშ გაერთიანებულმა ოსმალეთის ჯარის დანაყოფმა აზერბაიჯანის დაკავება სცადა, თუმცა წარუმატებლად.

[36] Zürcher,2010,გვ. 194

[37] სევრის ზავის ტექსტისთვის იხ: http://sam.baskent.edu.tr/belge/Sevres_ENG.pdf

მოაწერეს სტამბოლის ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მაგრამ ანატოლიაში მოქმედმა წინააღმდეგობის მოძრაობამ, რომელსაც მუსტაფა ქემალ ფაშა მეთაურობდა, ზავის რატიფიკაციაზე უარი განაცხადეს და შეიარაღებული წინააღმდეგობის გაგრძელება ამჯობინეს.

მუსტაფა ქემალი რესპუბლიკის გამოცხადებამდე ანატოლიელების მობილიზაციის მიზნით თურქულ ნაციონალისტურ რიტორიკას თითქმის არ იყენებდა. მაგალითად, ერთ-ერთი პირველი პროპაგანდისტული პოსტერი, რომელიც თურქულ-ბერძნულ ან, უფრო გავრცელებული სახელით, თურქეთის ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის პერიოდში შეიქმნა, ათათურქს და მის თანამებრძოლებს ისლამის მხსნელებად მოიხსენიებდა.[38] მასების მობილიზაციისათვის ისლამის გამოყენების კარგი მაგალითი იყო 1920 წლის 23 აპრილს ანკარაში მეჯლისის გახსნის ცერემონიაც. მეჯლისი პარასკევ დღეს, ანკარის ჰაჯი ბაირამის მეჩეთში ლოცვის შემდეგ გაიხსნა, ხოლო მის ვიცე-სპიკერებად აირჩიეს ბექთაშიას და მევლევიას სუფიური საძმოების ლიდერები აჰმეთ ჯემალეთთინ ჩელები[39] და აბდულჰალიმ ჩელები.[40] ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის პერიოდში, მუსტაფა ქემალის მიერ გამოყენებულ რიტორიკაში ცენტრალურ როლს სწორედ ისლამური რიტორიკა ასრულებდა, რომლის მიხედვითაც, სულთანი და მუსლიმთა ხალიფა, ოკუპირებულ სტამბოლში ტყვეობაში იმყოფებოდა, ხოლო ათათურქის და მისი თანამებრძოლების მიზანი, ისლამის გადარჩენა და სულთან-ხალიფას გათავისუფლება იყო. ანატოლიის მოსახლეობის დიდმა ნაწილმაც, სწორედ ხალიფა სულთანისა და ისლამისათვის დაუჭირა მხარი ათათურქს და არა ნაციონალისტური იდეალებისათვის.[41] იმას, რომ ისლამური რიტორიკის გამოყენება მთლიანად პრაგმატული მოსაზრებებით იყო განპირობებული, ასევე ამტკიცებს 1921 წლის კონსტიტუციაც, ისტორიულად უნიტარული წყობით ცნობილ ოსმალეთში და თურქეთში, ეს კონსტიტუცია საინტერესო იყო იმით, რომ ფართო ავტონომიას ითვალისწინებდა პროვინციების ანუ ვილაიეთებისათვის.[42] რაც დიდი ალბათობით განპირობებული მუსტაფა ქემალის სურვილით, შეენარჩუნებინა ფაქტობრივად ავტონომიური ქურთი პოლიტიკური ლიდერების მხარდაჭერა.

მიუხედავად ღიად ისლამური რიტორიკისა, ამ პერიოდში მუსტაფა ქემალი აქტიურად ცდილობდა არამუსლიმური რელიგიური ჯგუფების მხარდაჭერის მოპოვებასაც. ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც ამ კუთხით გადაიდგა, იყო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საპირწონედ, თურქული მართლმადიდებლური ეკლესიის შექმნის მცდელობა. შიდა ანატოლიაში, ქაისერის,ნიღდეს და კონიის პროვინციებში ცხოვრობდნენ თურქულენოვანი, ტრადიციით და კულტურით თურქი, თუმცა აღმსარებლობით მართლმადიდებელი ქრისტიანები, რომლებიც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ექვემდებარებოდნენ. ამ თურქულენოვან ქრისტიანებს, კარამანლიდების სახელით იცნობდნენ.

---

[38] იხ:https://www.hurriyet.com.tr/islamin-halaskarlari-afisi-samsun-kent-muzes-40850686

[39] ჩელები წოდებაა, რომლითაც ზემოთნახსენები სუფიური საძმოების ლიდერები მოიხსენიებოდნენ, ასევე, ოსმალეთის იმპერიაში, ფორმალური განათლების მქონე პირების ტიტული გახლდათ.

[40] იხ:Enver Behnan Şapolyo - Türkiye Büyük Millet Meclisinin Açılışı,23 Nisan,1920

[41] იმას, რომ ხალხის ძირითადი მოტივაცია სულთან-ხალიფის დახსნა და რელიგიური რწმენა იყო თავად ათათურქიც აღიარებს მეორე მეჯლისის გახსნისას, 1923 წლის 13 აგვისტოს წარმოთქმულ სიტყვაში.

[42] იხ: Teşkilati Esasiye Kanunu, 11. Madde. N85, 20.01.1921

თურქეთ-საბერძნეთის ომის პერიოდში, კარამანლიდი ქრისტიანების ერთმა ნაწილმა, რომელთაც პავლე ქარაჰისარლიდისი იგივე პაპა ეფთიმი ხელმძღვანელობდა, ღიად დაუჭირა მხარი თურქულ ეროვნულ მოძრაობას და საბრძოლო მოქმედებებშიც მიიღო მონაწილეობა,რისთვისაც პაპა ეფთიმს მეჯლისმა თავისუფლების ორდენი გადასცა.[43] პაპა ეფთიმი აქტიურად მონაწილეობდა ავტოკეფალიური თურქული მართლმადიდებლური ეკლესიის შექმნის მცდელობებშიც, რომლის მიზანიც იყო თურქულენოვანი მართლმადიდებელი ქრისტიანებისათვის ეროვნული ეკლესიის შექმნა, რომელიც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სრულფასოვანი ალტერნატივა იქნებოდა.

თურქეთ-საბერძნეთის ომში ბალანსის თურქეთის სასარგებლოდ გადახრასთან ერთად, დღის წესრიგში ანტანტის ქვეყნებთან ახალი შეთანხმება დადგა, რომელიც, გარდა იმისა, რომ შეამსუბუქებდა იმ ზომებს, რომლებიც სევრის შეთანხმებით იყო გათვალისწინებული, ასევე ითვალისწინებდა ორ ქვეყანას შორის მოსახლეობის „გაცვლას“ ანუ თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ბერძნები ვალდებულნი იყვნენ გადასახლებულიყვნენ საბერძნეთში, ხოლო საბერძნეთში მცხოვრები თურქები თურქეთში გაემგზავრებოდნენ, თუმცა რეალურად, მოსახლეობის „გაცვლისას“ მთავარი კრიტერიუმი რელიგია იყო და ლოზანის ხელშეკრულების სპეციფიკურ მუხლში აღნიშნული იყო, რომ „გაცვლას“ ექვემდებარებოდნენ „ბერძენი-მართლმადიდებელი“ და „მუსლიმი“ მოქალაქეები, ხოლო ენობრივი და ეთნიკური ფაქტორები ნახსენები საერთოდ არ იყო.[44] პაპა ეფთიმს და მის მიმდევრებს, რომლებიც ამ პერიოდში მნიშვნელოვანი პოლიტიკური გავლენა გააჩნდათ და აქტიურად ეწეოდნენ მოღვაწეობას კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წინააღმდეგ, ანკარის ხელისუფლებამ დაპირება მისცა, რომ მოსახლეობის „გაცვლა“ მათ არ შეეხებოდა[45] თუმცა, როცა გადასახლება დაიწყო, თურქეთის ხელისუფლებამ სიტყვა არ შეასრულა და თურქულენოვანი ანატოლიელი მართლმადიდებლების უმეტესობა იძულებული გახდა საბერძნეთში გადასახლებულიყო, თურქეთში დარჩენის უფლება მისცეს მხოლოდ პაპა ეფთიმის ოჯახის წევრებს, მისი მიმდევრების მცირე ნაწილს და სტამბოლელ ბერძნებს. ამავე დროს, ანატოლიის ტერიტორიაზე მცხოვრებ ეთნიკურად არათურქ მუსლიმებთან მიმართებაში, მსგავსი ზომების გატარებაზე საუბარიც არ ყოფილა, შესაბამისად, ლაზები,ქურთები,ალბანელები,ჩერქეზები, კრეტელები[46] და სხვა მუსლიმები თურქეთის ტერიტორიაზე დარჩნენ.

---

[43] Gazanfer İbar – Anadolu Hemşehrilerimiz: Karamanlılar ve Yunan Harfli Türkçe, İş Bankası Yayınları, İstanbul, 2009,გვ. 134

[44] იხ:Lausanne Peace Treaty VI. Convention Concerning the Exchange of Greek and Turkish Populations Signed at Lausanne, January 30, 1923

[45] İbar,2009,გვ. 139

[46] კრეტელი „თურქების“ მშობლიური ენა ბერძნული იყო და კულტურულადაც არაფრით გამოირჩეოდნენ ქრისტიანი კრეტელებისგან. როგორც კარამანლიდების შემთხვევაში, კრეტელების ნაწილმაც, კრეტაზე დარჩენა სცადა და ნაწილი მზადაც კი იყო ქრისტიანობა მიეღო,თუმცა უშედეგოდ. იხ: Anna Kouvaraki – Historical and Cultural Dimensions of the Muslim Cretans in Turkey, MA Thesis, Istanbul Bilgi University, 2014,გვ.52

ამგვარად, რესპუბლიკის დაარსების პერიოდისათვის, თურქული ერი-სახელმწიფოს შქმნის პროცესში, თურქი ერის „საშენ მასალად“ ოსმალეთის იმპერიის მუსლიმი მილეთი წარმოგვიდგება. *სტრატეგია ემყარებოდა რწმენას, რომ მიუხედავად ეთნიკური სხვაობებისა, საერთო წარსული, რელიგია და გარკვეულწილად, კულტურა საკმარისი იყო სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების, ახალ, თურქ ერში გასაერთიანებლად.* ამ ფიქრის ფუძემდებლად ზია გოქალფი გვევლინება, რომელიც არც თავად იყო ეთნიკურად თურქი.[47] ზია გოქალფის დამოკიდებულება ეროვნული კუთვნილების მიმართ საკმაოდ ჩახლართული იყო და მიუხედავად იმისა, რომ წინა პლანზე აღზრდას და კულტურულ კუთვნილებას აყენებდა, მის ნაწარმოებებში ვხვდებით ადგილებს, რაც მიგვითითებს, ზია გოქალფის სკეპტიკურ დამოკიდებულებაზე ეთნიკური თვითიდენტიფიკაციის მიმართ,[48] რაც მოგვიანებით ნათლად აისახა რესპუბლიკის პერიოდის თურქიფიკაციის პროცესზე. ასევე, ზია გოქალფი არ თვლიდა საჭიროდ სეკულარული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას და თურქების ეროვნული სახელმწიფოს ჩამოსაყალიბებლად, საკმარისად მიიჩნევდა ისლამის თურქიზაციას, ასევე, ხაზს უსვამდა, რომ ყველა თურქი მუსლიმი იყო.[49] რითაც ზია გოქალფი მკვეთრად განსხვავდებოდა მაგალითად თურქული კერიას(Türk Ocakları) ლიდერის და ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგის ჰამდულლაჰ სუფჰისგან, რომელიც აქტიურ მოღვაწეობას ეწეოდა ქრისტიანი გაგაუზების თურქეთში გადმოსახლებისათვის და ათათურქის უდიდეს შეცდომად მიიჩნევდა ანატოლიაში მცხოვრები თურქულენოვანი ქრისტიანების საბერძნეთში გადასახლებას.[50]

ეთნიკური ჰომოგენიზაციის გარდა, მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც მოსახლეობის „გაცვლა“ გამოიწვია, იყო ქონების გადანაწილება და თურქეთის ხელისუფლების სურვილი, შეექმნა ეროვნული ბურჟუაზია. ოსმალეთის იმპერიაში, მილეთის სისტემის გამო, რომელიც ამავე დროს სხვადასხვა მილეთების წარმომადგენლების სეგრეგაციას უწყობდა ხელს, შეიქმნა რეალობა, სადაც სეგრეგაცია და სოციალური სტრატიფიკაცია სხვადასხვა მილეთების წარმომადგენლების სხვადასხვა ეკონომიკურ დარგებში გადანაწილების მიზეზი გახდა. მართალია მუსლიმები შეადგენდნენ ქვეყნის სამხედრო და ბიუროკრატიულ ელიტას, მათი უმეტესობა კვლავ ანატოლიის თუ ბალკანეთის სოფლების მაცხოვრებელი იყო და მეურნეობით იყო დაკავებული. არამუსლიმები კი, ქალაქის მოსახლე ბურჟუაზიის და ხელოსნების დიდ ნაწილს შეადგენდნენ. ამგვარად, ქვეყნის ჰომოგენიზაცია არამუსლიმების ქვეყნიდან გადასახლების გზით, ეკონომიკურადაც იყო განპირობებული. როგორც ჩაღლარ ქეიდერი

[47] ზია გოქალფი ქურთული წარმოშობის იყო, თუმცა თვლიდა, რომ რადგანაც ადამიანი აღზრდის პროდუქტია, ეს მნიშვნელოვანი არ იყო და მკვეთრად უარყოფითად რეაგირებდა, როცა საქმე მის ეთნიკურ წარმოშობაზე საუბრობდნენ. იხ: Umut Uzer - The Kurdish Identity of Turkish Nationalist Thinkers: Ziya Gökalp and Ahmet Arvasi between Turkish Identity and Kurdish Ethnicity, Turkish Studies, 14/2, 2013, გვ.399, Fuat Dündar – Kürt Sorunu Ekseninden Bir Ziya Gökalp Biyografisi, Kürt Tarihi ve Siyasetinden Portreler, İletişim Yayınları, İstanbul,2018, გვ. 143-160

[48] მაგ: Ziya Gökalp – Türkleşmek, İslamlaşmak, Muasirlaşmak(Haz. Osman Karatay),Akçağ Yayınları, Ankara,2010,გვ.37

[49] იქვე, გვ. 42

[50] Mustafa Baydar(Haz.) – Hamdullah Suphi Tanrıöver ve Anıları, Menteş Kitabevi,İstanbul,1968,გვ. 160-161

აღნიშნავს, ეროვნული ბურჟუაზიის შექმნა, სწორედ ქვეყნიდან წასული არამუსლიმების მიერ დატოვებული ქონების საშუალებით გახდა შესაძლებელი, ხოლო იმ ფაქტმა, რომ ახლად შექმნილი მუსლიმი ბურჟუაზია თავის სოციალურ მდგომარეობას სახელმწიფოს უმადლოდა, ის პოლიტიკურად დაასუსტა და შედეგად, ეკონომიკაში სახელწიფოს როლის ზრდასთან ერთად, ბურჟუაზია მის ერთგვარ დანამატად იქცა, რომელსაც სახელმწიფოს გარეშე არსებობა არ შეეძლო.[51]

ამგვარად, როცა რესპუბლიკის გამოცხადებასთან ერთად დაწყებული რეფორმები,[52] რომლებიც, იმ პერიოდის დასავლეთში სეკულარიზმის და ვესტერნიზაციის ტალღად იქნა აღქმული, რეალურად საკმაოდ განსხვავდებოდა დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკისაგან და პირველ რიგში რელიგიის სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ მოქცევას ისახავდა მიზნად. ადრე არსებული შეიხ ულ ისლამის თანამდებობა, რომელიც სულთნის ხელდასხმით ქვეყნის რელიგიური ცხოვრების მაკონტროლებელი იყო შეიცვალა რელიგიურ საქმეთა სამმართველოთი და განსხვავებით ოსმალეთის პერიოდისაგან, სადაც საკმაოდ ბევრი ავტონომიური თუ დე ფაქტო დამოუკიდებელი რელიგიური ორგანიზაცია არსებობდა, რესპუბლიკური ხელისუფლება შეეცადა ყველანაირად შეეზღუდა ალტერნატიული რელიგიური სივრცეები, რაც ნაწილობრივ 1924-1925 წლებში განხორციელდა. გაუქმდა შარიათის კანონები, აიკრძალა სუფიური საძმოების, დერვიშთა მონასტრების - თექეების მოღვაწეობა, საზოგადოებისათვის დაიხურა წმინდანთა და ოსმალეთის პერიოდის გამოჩენილ მოღვაწეთა სამარხები - ტურბეები, აიკრძალა ისლამური სამოსის ტარება და ბოლოს, 1928 წელს, არაბული ანბანი შეიცვალა ლათინურით. მართალია ეს, განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებების პარალელურად, მაგალითად, ევროპის ქვეყნების კანონმდებლობებიდან იქნა გადმოტანილი ქორწინების, მემკვიდრეობის და სხვა კანონები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს პოლიტიკა არამუსლიმი მოქალაქეების მიმართ ორაზროვნად და არაერთგვაროვნად დარჩა.

ერთი შეხედვით 1924 წლის კონსტიტუციის 88-ე მუხლი ერთხელ და სამუდამოდ აგვარებდა ამ პრობლემას - „თურქეთის მოსახლეობას, რელიგიის და წარმოშობის განურჩევლად თურქები ეწოდებათ“. თუმცა რეალურად საქმე ბევრად რთულად იყო და ხელისუფლების ზოგი წარმომადგენელი ღიად აღნიშნავდა, რომ არამუსლიმები მხოლოდ „იურიდიულად“ იყვნენ თურქები.[53]

---

[51] იხ: Çağlar Keyder – The Consequences of the Exchange of Populatıons for Turkey, Crossing the Aegean, (Edited by Renee Hirschon),Berghahn Books, New York/Oxford, 2003, გვ. 44-46

[52] ოფიციალურ თურქულ ისტორიოგრაფიაში ათათურქის რეფორმების აღსანიშნავად Atatürk Devrimleri/İnkilapları გამოიყენება; ორივე ეს სიტყვა ქართულად ითარგმნება როგორც რევოლუცია. მაგრამ, რადგანაც ათათურქი და მისი თანამებრძოლები რეალურად ოსმალური სამხედრო/ბიუროკრატიული ელიტის წარმომადგენლები იყვნენ და საქმე გვქონდა მხოლოდ პოლიტიკური სისტემის ნაწილობრივ ცვლილებასთან, ელიტების რეალური ცვლილების გარეშე, ქართულ თარგმანში რევოლუციასთან დაკავშირებული ტერმინების გამოყენება არასწორად მიმაჩნია.

[53] Umut Uzer – An Intellectual History of Turkish Nationalism, The University of Utah Press,Salt Lake City, 2016,გვ.96

ლოზანის ხელშეკრულებამ, თურქი ერის და არამუსლიმების საკითხები მკვეთრად განსაზღვრა - უმცირესობად მხოლოდ არამუსლიმები ჩაითვალნენ; მუსლიმებს შორის არსებულ ეთნიკურ თუ დენომინაციურ სხვაობებზე საუბარი კი არც ყოფილა.[54] აქ მთავარი როლი ითამაშა გოქალფის გავლენამ, რომელიც, თვლიდა, რომ ერის შემადგენელი ფაქტორი პირველ რიგში საერთო ღირებულებები იყო, საერთო ღირებულებებს კი ისლამი განსაზღვრავდა, როგორც ფაქტორი, რომელიც ანატოლიელი ხალხის მასებს აერთიანებდა.[55]

შესაბამისად, ერი-სახელმწიფოს მშენებლობის საკითხში, მუსტაფა ქემალის მთავრობამ არათურქი მუსლიმების ხშირ შემთხვევაში იძულებითი, ასიმილაციის და არამუსლიმების იურიდიული დისკრიმინაციის გზა აირჩია. არათურქ მუსლიმებს აეკრძალათ საკუთარ ენებზე განათლების მიღება და საუბარიც კი, გამოჩნდა ისეთი ორგანიზაციები როგორიც იყო მაგალითად „ლაზურად მოლაპარაკეებთან ბრძოლის საზოგადოება“,[56] დიდი ყურადღება მიექცა ლინგვისტური თურქიზაციის კამპანიას, რომელიც „მოქალაქევ, თურქულად ილაპარაკე!“-ს სახელით გახდა ცნობილი.

რაც შეეხება არამუსლიმებს, მიუხედავად იმისა, რომ მათი უმეტესობა საბერძნეთში გადასახლდა, სტამბოლელი და კუნძულების იმბროსის და ტენედოსის (გოქჩეადა და ბოზჯაადა) ბერძნები თურქეთში დარჩნენ. სტამბოლელი ბერძნები, სომხები და ებრაელები კვლავ მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სტამბოლის ეკონომიკურ ცხოვრებაში, რაც, პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა მუსტაფა ქემალის ხელისუფლების პოლიტიკას მოეხდინა ეკონომიკის „გაეროვნულება“. შესაბამისად, მიღებული იქნა კანონები, რომლებითაც არამუსლიმებს შეეზღუდად საჯარო სამსახურში დასაქმების და ეკონომიკური საქმიანობის უფლებები.[57]

ამგვარად, რესპუბლიკის პერიოდში, თურქი შეიძლებოდა გამხდარიყო მხოლოდ მუსლიმი, რომელიც მზად იყო მორგებოდა სახელმწიფოს მიერ მისთვის შემოთავაზებულ იდენტობას. სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებული იდენტობა ამგვარად შეიძლება განვსაზღვროთ: თურქულად მოსაუბრე მუსლიმი, თურქული კულტურითა და თვითაღქმით, რომელიც თუკი მორწმუნე იქნება, აღიარებს ისლამის იმ ფორმას, რომელსაც მას რელიგიის საქმეთა სამმართველო შესთავაზებს.

---

[54] თუმცა პრაქტიკაში, თურქეთის სახელმწიფო არამუსლიმებიდანაც უმცირესობად მხოლოდ სომხებს,ებრაელებს და ბერძნებს თვლიდა, რაც კიდევ ერთი მნიშვნელოვანი არამუსლიმი უმცირესობის - ასურელების კონტექტში ბევრი გაუგებრობის მიზეზი გახდა და ხდება. იხ: Baskın Oran – Adınız Nedir?, Agos,30 აგვისტო,2002.

[55] Çağaptay,2006,გვ.15

[56] იხ: https://m.bianet.org/bianet/toplum/105059-usaklar-ha-bu-lazca-yi-konusmayin-da,https://lazca.org/lazca/68-lazca-konusanlarla-mucadele-kolu.html

[57] ამ პერიოდში გამოცემული კანონების მიხედვით, ოფიციალურად საჯარო სამსახურში და გარკვეულ სფეროებში დასაქმებისთვის აუცილებელი იყო მსურველი „თურქი“ ყოფილიყო. მართალია კონსტიტუცია მკაფიოდ ადგენდა, რომ ყველა თურქეთის მოქალაქე თურქი იყო,მაგრამ პრაქტიკაში არამუსლიმები თურქებად არ ითვლებოდნენ. 1926 წელს გამოსული, 788-ე კანონი საჯარო სამსახურის შესახებ ან 1927 წელს გამოცემული 1055-ე კანონი მრეწველობის შესახებ ასეთი კანონების მაგალითებია.

დისკრიმინაციული კანონების მომრავლებასთან ერთად, 1930-იანი წლებიდან ხშირდება არამუსლიმებზე სახელმწიფოს ღია თუ ფარული მხარდაჭერით და ნებართვით მოწყობილი თავდასხმები, რომელთაც ორი მიზანი ჰქონდა - არამუსლიმების სტამბოლში კონცენტრირება და სადაც შესაძლებელი იყო, მათი იძულება დაეტოვებინათ თურქეთი. ამ ზომებს ვერ გადაურჩნენ ვერც ებრაელები, რომლებიც ტრადიციულად, ოსმალეთის და თურქეთის ერთგულ მოქალაქეებად მოიაზრებოდნენ. ასეთი თავდასხმების ყველაზე ნათელი მაგალითი იყო 1934 წლის თრაკიის მოვლენები. 1934 წლის ივნისში, თრაკიის ტერიტორიაზე და ჩანაქქალეს პროვინციაში, ებრაულ მოსახლეობაზე განხორციელებული თავდასხმების შედეგად ებრაელების უმეტესობა იძულებული გახდა რეგიონი დაეტოვებინა. სამართალდამცველ ორგანოებს თავდამსხმელების შეკავება არ უცდიათ, ხოლო ერთი წლის შემდეგ ქირკლარელის პროვინციის არამუსლიმებისათვის დახურულ უსაფრთხოების ზონად გამოცხადება თრაკიის მოვლენებში თურქეთის სახელმწიფოს მონაწილეობაზე ღიად მიანიშნებს.[58] ხოლო ხალხის და ებრაული თემის თვალსაზრისს თრაკიის მოვლენებში ხელისუფლების როლზე ნათლად გამოხატავს გადმოცემა, რომლის მიხედვითაც, 1935 წელს, როდესაც ათათურქი ჩანაქქალეში ჩავიდა, მას ადგილობრივმა ებრაელმა შესჩივლა, რომ ადგილობრივი ხალხი ებრაელებს „აგდებდა“, რაზეც ათათურქმა უპასუხა „ხალხმა თუ ისურვა, მეც გამაგდებს!“ და ებრაელს გაშორდა. [59]

შესაბამისად, მუსტაფა ქემალ ათათურქის და ზოგადად, თურქეთის რესპუბლიკის პირველ, ერთპარტიულ პერიოდში, მოქალაქეობის და თურქობის მკვეთრად გოქალფისეულ გაგებასთან გვაქვს საქმე, მიუხედავად კონსტიტუციური მოქალაქეობის და ლოზანის ხელშეკრულებისა, ***<u>არამუსლიმები ფაქტობრივად თურქებად არ ითვლებოდნენ. ხოლო არათურქი მუსლიმების მიერ საკუთარი ეთნიკური იდენტობის გამოხატვის ნებისმიერი მცდელობა აღიქმებოდა, როგორც „შეცდომა,რომლის გამოწორებაც სახელმწიფოს მოვალეობა იყო“,</u>*** ხოლო თავად არათურქი მუსლიმები, რომელთაც თურქული იდენტობა შეთვისებული არ ჰქონდათ, აღიქმებოდნენ, როგორც „გზააბნეული კრავები“, რომელთა „სწორ გზაზე“ მობრუნება სახელმწიფოს მოვალეობა იყო. შესაბამისად, იდენტობის განსაზღვრაც სახელმწიფოს პატერნალისტური მოვალეობების ჩარჩოში იქნა მოქცეული, რის მაგალითებსაც ნათლად ვხედავთ 1931 წლის სახალხო რესპუბლიკური პარტიის კონგრესზე პარტიის გენერალური მდივნის რეჯეფ პეკერის და ანთროპოლოგის და ათათურქის ნაშვილების აფეთ ინანის განცხადებებშიც.[60]

რა იყო მიზეზი იმისა, რომ მიუხედავად თურქული იდენტობის საფუძველად მუსლიმი მილეთის არჩევის და რელიგიური საკითხების სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ მოქცევის მიუხედავად, თურქეთის ხელისუფლებამ საზოგადოებრივი ცხოვრების სეკულარიზების პოლიტიკა აირჩია? მთავარი მიზეზი ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ არსებული

---

[58] იხ: Hatice Bayraktar - The anti-Jewish pogrom in Eastern Thrace in 1934: new evidence for the responsibility of the Turkish government, Patterns of Prejudice, Vol. 40, No. 2, 2006, გვ. 95-111

[59] ზოგიერთ თურქულ <u>საიტზე</u> ეს ამბავი წარმოჩენილია როგორც საამაყო და ათათურქის „დემოკრატობის“ დამადასტურებელი, თუმცა მისი ინტერპრეტაცია ასევე წარმატებით შეიძლება როგორც პასუხისმგებლობის ხალხზე გადაბარების გზით, ქმედების სწორ საქციელად წარმოჩენად.

[60] Çağaptay,2006,გვ. 45-46

რელიგიური ოპოზიცია გახლდათ, მართალია 1925 წლის შეიხ საიდის ამბოხება ისლამურ ხასიათს ატარებდა, მაგრამ მისი გავრცელების არეალი ქურთებით დასახლებული ტერიტორიებით იყო შეზღუდული. რეალურ გარდატეხის წერტილად 1930 წელს, იზმირთან ახლოს, ქალაქ მენემენში მომხდარი ინციდენტი იქცა - დერვიშების ერთმა ჯგუფმა, ქალაქში ისლამური პოლიტიკური წყობილების აღდგენა გამოაცხადა და თავს დაესხა ამბოხებულების დასაშლელად გამოგზავნილ სამართალდამცველებს, დაღუპულთა შორის იყო ოფიცერი მუსტაფა ფეჰმი ქუბილაი, რომლის მოკვეთილი თავიც ამბოხებულებმა ხალხის თვალწინ ჩამოატარეს. თურქეთის ხელისუფლებმა იგრძნო, რომ ისლამი, როგორც პოლიტიკური ძალა მისთვის საფრთხე იყო და ისლამის დასაბალანსებლად, სეკულარიზაციის და ეროვნული ისლამის შექმნის პოლიტიკის ურთიერთპარალელურად გატარება უფრო რადიკალური მეთოდებით დაიწყო.[61]

თურქიფიკაციის პოლიტიკა, დიდწილად წარმატებული იყო, მხოლოდ რელიგიური ფაქტორი ანატოლიის არათურქული მოსახლეობის ასიმილაციისათვის საკმარისი არ გამოდგა და აღმოსავლეთ ანატოლიის ეთნიკური ქურთებით დასახლებულ რეგიონებში არაერთი ამბოხების შემდეგ, სახალხო რესპუბლიკური პარტიის რაიონული ორგანიზაციები დაიხურა, ხოლო რეგიონის მართვა საგანგებო ინსპექციების (Umumi Müfettişlikler) ხელით ჯარისა და ცენტრიდან დანიშნული გუბერნატორების ხელში გადავიდა, რომლებიც ადგილობრივ ელიტებთან შეთანხმებით განკარგავდნენ რეგიონს. ამგვარად, თურქეთის ხელისუფლების პოლიტიკური ფოკუსი ქვეყნის დასავლეთ რეგიონებზე გადაერთო.

1938 წელს გარდაიცვალა მუსტაფა ქემალ ათათურქი და მისი ადგილი ისმეთ ინონუმ დაიკავა. ინონუს ხელისუფლებამ გააგრძელა მანამდე არსებული ეროვნული ბურჟუაზიის შექმნის და ქონების რედისტრიბუციის პოლიტიკა, რომლის ყველაზე ნათელ მაგალითად მეორე მსოფლიო ომის პერიოდში შემოღებული „ქონების გადასახადი“ (Varlık Vergisi) იქცა. ქონების გადასახადი ოფიციალურად, ომის პერიოდში კომერციული საქმიანობით დაკავებულ მოქალაქეებს დაეკისრათ, თუმცა, ფაქტობრივად მისით ყველაზე მეტად არამუსლიმები დაზარალდნენ, რომელთაც, სხვა გადამხდელებისგან განსხვავებით, არაპროპორციულად დიდი გადასახადები დაეკისრათ გადავადების რაიმე სახის შესაძლებლობის გარეშე, ის არამუსლიმები კი რომელთაც გადასახადების გადახდა ვერ შეძლეს, შრომით ბანაკებში გაიგზავნნენ.[62] ქონების გადასახადი საინტერესო იყო იმითაც, რომ მუსლიმებთან და არამუსლიმებთან ერთად მასში ცალკე

[61] Uzer,2016,გვ.99

[62] შრომითი ბანაკები ანატოლიაში მდებარეობდა, სადაც პატიმრებს მკაცრ პირობებში უწევდათ შრომა. იხ:Zürcher,2014,გვ. 202

კატეგორიად იყვნენ შეტანილი ე.წ. მოქცეულნი(Dönmeler),[63] რომელთაც მუსლიმებისათვის დაკისრებული გადასახადის ორმაგი ოდენობის გადახდა დაეკისრათ.[64]

ამგვარად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ რესპუბლიკის პირველ პერიოდში, თურქული იდენტობის მთავარ განმსაზღვრელად მართალია ოსმალეთის იმპერიაში არსებული მუსლიმი მილეთის წევრობა გვევლინებოდა, მაგრამ, გარკვეულ სიტუაციებში სახელმწიფო მზად იყო მუსლიმებიც ერთმანეთისაგან განესხვავებინა ეთნიკურ ნიადაგზე, ოფიციალური პოლიტიკის მიუხედავად, რომელიც მუსლიმებს შორის არათურქი ეთნიკური ჯგუფების არსებობას უარყოფდა ან უგულებელყოფდა. მოქცეულებისათვის, დანარჩენ მუსლიმებთან შედარებით უფრო მაღალი გადასახადის დაწესებაც ამის მაგალითია - მიუხედავად იმისა, რომ ეს ჯგუფი იურიდიულად და ფაქტობრივადაც მუსლიმი იყო, იმის გათვალისწინებით, რომ ისინი მუსლიმების ფართო მასასთან შედარებით უკეთეს ეკონომიკურ მდგომარეობაში იყვნენ, სახელმწიფოს მმართველებმა ამჯობინეს ისინი ცალკე ეთნიკურ/სოციალურ კატეგორიად გამოეყოთ.

მრავალპარტიული პერიოდი და შენარჩუნებული სტატუს-კვო

1946 წელს თურქეთი მრავალპარტიულ სისტემაზე გადავიდა და 1950 წელს, ხელისუფლება არჩევნების გზით შეიცვალა. ქვეყნის სათავეში სახალხო რესპუბლიკური პარტიიდან გამოყოფილი პოლიტიკოსების ნაწილის მიერ დაარსებული დემოკრატიული პარტია მოვიდა. ხელისუფლების ცვლილებას, თურქეთის დანარჩენ მოქალაქეებთან ერთად, არამუსლიმებიც დიდი იმედით შეხვდნენ. 1950-იანი წლებისთვის, თურქეთში რელიგიური ფაქტორი პოლიტიკაზე დიდ გავლენას ვეღარ ახდენდა, თუმცა არამუსლიმებისთვის, როგორც „ოფიციალური“ არათურქებისთვის, ბევრი რამ არ შეცვლილა - ნიჰალ ათსიზის, რეჰა ოღუზ თურქქანის და სხვების ნაციონალისტური იდეები, რომლებიც თანდათან უფრო და უფრო პოპულარული ხდებოდა, შესაძლოა რელიგიური კუთხით ნეიტრალური იყო, მაგრამ ეთნიკურად არათურქების მიმართ მკვეთრად ნეგატიურად იყო განწყობილი. მნიშვნელოვანი იყო ახალი გეოპოლიტიკური რეალობაც. შერეული მოსახლეობის მქონე კუნძულ კვიპროსზე ბერძენ და თურქ მოსახლეობას შორის ურთიერთობების დაძაბვამ თურქეთში მცხოვრებ ბერძნებზეც მოახდინა გავლენა; ხოლო თურქეთის ხელისუფლებამ აშკარად მიანიშნა,რომ კვიპროსზე საკუთარი ინტერესების დასაცავად, თურქეთში მცხოვრები ბერძნების ფაქტორის გამოყენებაზე უარს არ იტყოდა.

დემოკრატიული პარტიის პერიოდის ყველაზე სერიოზული თავდასხმა არამუსლიმებზე 1955 წლის 6-7 სექტემბერს მოხდა. ეკონომიკის „გაეროვნულება“ ამჯერად იმდენად დიდ მნიშვნელობას აღარ ატარებდა, სამაგიეროდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეთნიკურ ფაქტორს.

[63] იმ ებრაელთა შთამომავლები, რომლებმაც XVII საუკუნეში აღიარეს შაბთაი ცვის მოძღვრება და ამ უკანასკნელის ისლამზე მოქცევის შემდეგ, გაიმეორეს მისი საქციელი და კარგა ხნის მანძილზე ფარულად აგრძელებდნენ ისლამური და ებრაული ტრადიციების სინთეზის შედეგად შექმნილი რიტუალების აღსრულებას. იურიდიულად ისინი მუსლიმებად ითვლებოდნენ და დღეს მეტწილად თურქულ საზოგადოებაში არიან ასიმილირებულები.

[64] Çağlar Keyder – Türkiye'de Devlet ve Sınıflar, İletişim Yayınları, İstanbul, 2014, გვ.144

1955 წლის 5-6 სექტემბრის ღამეს, საბერძნეთის მოქალაქე თურქმა სტუდენტმა ოქთაი ენგინმა,[65] სალონიკში, ათათურქის სახლ მუზეუმში ბომბი ააფეთქა, რასაც, თურქეთში, პირველ რიგში სტამბოლში, პირველ რიგში ბერძნების, ზოგადად კი არამუსლიმების კუთვნილს ბიზნესებზე და საცხოვრებელ სახლებზე მასობრივი თავდასხმები მოჰყვა, დაიღუპა ოცდაათამდე ადამიანი, ხოლო არამუსლიმების კუთვნილი ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი განადგურდა. არამუსლიმების, განსაკუთრებით ბერძნების დიდი ნაწილი იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო. 1964 წელს, კვიპროსზე პოლიტიკური სიტუაციის დაძაბვასთან ერთად, სტამბოლში დარჩენილი ბერძნების დარჩენილი ნაწილის უმეტესობაც იძულებული გახდა საბერძნეთში გადასახლებულიყო.[66]

მრავალპარტიულ პერიოდში არაბერძენ არამუსლიმების მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა, თუმცა სრულფასოვანი მოქალაქეებად და თურქებად მოსახლეობის უმეტესობა დღემდე არ აღიქვამს. მაგალითისთვის, თურქეთში მცხოვრები ორი მთავარი მუსლიმი უმცირესობა - ალევიტები და ქურთები, რომელთაგან პირველი რელიგიური, მეორე კი ეთნიკური უმცირესობაა, საკუთარი თავის „ქვეყნის ძირითად შემადგენელ კომპონენტად“ ან „თანადამაარსებლად“ მოაზრებას ამჯობინებენ.[67]

1964 წლის შემდეგ, არამუსლიმ თურქეთის მოქალაქეებს და თურქეთის ხელისუფლებას შორის სერიოზული პრობლემა არ ყოფილა, თუ არ ჩავთვლით თურქეთის გარეთ მცხოვრები სომხების მიერ ორგანიზებულ თავდასხმებს თურქ დიპლომატებზე, რასაც თურქეთის მოქალაქე სომხები მხარს არ უჭერდნენ და აპროტესტებდნენ კიდეც. [68]

ამის მიუხედავად, სახელმწიფო სექტორი, გარდა უნივერსიტეტებისა და ძალოვანი სტრუქტურები არამუსლიმებისთვის დე ფაქტო დახურული დარჩა და 2009 წელს, როცა თურქეთის მოქალაქე სომეხმა სურენ ჰალეფლიმ სახელმწიფო სამსახურში მუშაობის დასაწყებად საჭირო გამოცდაში გაიმარჯვა, ეს ამბავი იმდენად სენსაციურად იქნა აღქმული, რომ მაღალტირაჟიან გაზეთებში გამოქვეყნდა.[69] თურქული სახელმწიფო კი კვლავ უნდობლობით უდგებოდა არამუსლიმებს და მათ, ვინც რესპუბლიკის პერიოდში ისლამზე მოქცეულთა შთამომავალი იყო, მაგალითად, 2013 წელს გამოირკვა, რომ საჯარო რეესტრის შიდა მოხმარების ჩანაწერებში, არამუსლიმი მოქალაქეები, აღმსარებლობის მიხედვით, საგანგებო

---

[65] ოქთაი ენგინის შემდგომ კარიერას საკმაოდ ხშირად წარმოაჩენენ როგორც იმის სამხილს, რომ 6-7 სექტემბრის მოვლენების ორგანიზება უშუალოდ სახელმწიფოს მიერ მოხდა. ენგინი მოგვიანებით პოლიციის მაღალჩინოსანი და ნევშეჰირის გუბერნატორი გახდა. იხ: http://arsiv.sabah.com.tr/2008/09/07/haber,9F976615A218470C9CBFC64E35465AEC.html, თავად ენგინი, მოვლენებთან დაკავშირებით საკუთარ პასუხისმგებლობას უარყოფდა და მოვლენების ასეთ განვითარებაში პასუხისმგებლობას სახელმწიფოს აკისრებდა. იხ: https://m.bianet.org/bianet/siyaset/4458-oktay-engin-devletin-sorumlulugu-var

[66] Rita Ender- 1964 Rum Sürgünü ve Azınlık Hukuku, Bianet, 17.11.2014

[67]: Azınlık değil, asli unsuruz,Hürriyet, 8.10.2004;Ahmet İnsel - Asli Kurucu "Mertebesini" Sorunları,Birikim, N 134-135, V-VI,2000

[68] მაგალითად 1982 წელს, ტაქსიმის მოედანზე თურქეთის მოქალაქე სომეხმა ართინ პენიკმა ანკარის აეროპორტში მოწყობილი თავდასხმის გასაპროტესტებლად თავი დაიწვა.

[69] Halepli,Artık Resmen Bir İlk,Hürriyet,14.12.2009

კოდებით იყოფობდნენ, მაგალითად, საჯარო რეესტრის ჩანაწერებში ბერძნების შესახებ ინფორმაცია დახარისხებული იყო ნომრით 1, სომხების 2 და ა.შ.[70] ასევე საინტერესოა იბრაჰიმ იაილალის შემთხვევაც, რომელიც ნათლად გვაჩვენებს, რომ ზოგ შემთხვევაში სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში დისკრიმინაციის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ისეთი ადამიანიც, რომელმაც თვითონ შეიძლება არც იცოდეს საკუთარი ეთნიკური წარმომავლობის შესახებ. 1994 წელს, ჯარისკაცი იბრაჰიმ იაილალი, თანამებრძოლებთან ერთად ქურთისტანის მუშათა პარტიის წევრებს ჩაუვარდა ტყვედ; მისი ოჯახის წევრებმა კი, რომლებიც მის გამოსახსნელად სახელმწიფოს სტრუქტურებისგან დახმარება ითხოვეს, პასუხად მიიღეს, რომ სახელმწიფომ „მათი ბერძნული წარმოშობის შესახებ იცოდა“ და მათი თხოვნა უშედეგოდ დარჩა.[71]

2000-იანი წლებიდან, არამუსლიმების მდგომარეობის შედარებით გაუმჯობესებასთან ერთად, მათ წინააღმდეგ კვლავ ხორციელდებოდა სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულებები, ხოლო მედიაში ანტიქრისტიანული და ანტისემიტური პროპაგანდა ჩვეულებრივი ამბავი იყო. სახელმწიფოს დამოკიდებულება კი ამბივალენტური. მაგალითად, მალათიაში 2007 წელს მოკლული პროტესტანტი მისიონერების საქმეზე ბრალდებულების სასამართლო პროცესი 9 წელიწადს გრძელდებოდა, ხოლო უშუალოდ შემთხვევის ადგილზე დაკავებული ხუთი დამნაშავე, მიუხედავად იმისა, რომ საბოლოოდ სამუდამო პატიმრობა მიესაჯათ, 2014 წელს სასამართლო პროცესის დასრულებამდე ხელწერილით გაათავისუფლეს.[72]

დღემდე, მიუხედავად მნიშვნელოვანი პროგრესისა, თურქეთში არამუსლიმები, მიუხედავად იმისა, რომ კანონის წინაშე დე იურე სრულუფლებიანი მოქალაქეები არიან, ფაქტობრივად კვლავ მეორეხარისხოვან მოქალაქეებად აღიქმებიან. რისი მაგალითებიცაა მაგალითად სამხედრო ოპერაციების წინ არამუსლიმებისაგან საგანგებოდ მხარდაჭერის მოთხოვნა[73] მაშინ როდესაც, იგივე ალევიტური ან ქურთული ორგანიზაციებისაგან მსგავსი რამ არავის სურს. პრობლემებად რჩება ისეთი საკითხებიც როგორიცაა არამუსლიმებისთვის ჩამორთმეული ქონების დაბრუნება ან სომხური თემის მიერ პატრიარქის არჩევა[74]

დასკვნის მაგიერ

თურქულ-ბერძნული ომის შედეგი, მიუხედავად ერთპარტიული პერიოდის თურქეთის ერთმნიშვნელოვნად ნაციონალისტური პოლიტიკისა, რეალურად არა იმდენად ეთნიკური თურქების, არამედ რელიგიური და მონარქისტული ლოზუნგების ქვეშ მობილიზებული

---

[70] იხ: Dikran M. Zenginkuzucu - Soy Kodu Ya Da Malumun İlani,Evrensel,10.08.2013; Devlet fişlemede hız kesmedi, azınlıklara 'soy kodu' uygulaması mahkeme kararına rağmen sürüyor!,T24,29.01.2015; Türkiye Soy Kodunu Tartışıyor,Agos,02.08.2013; Soy Kodu Şifahen Kalktı, Agos, 25.02.2016

[71] Uzay Bulut - The Evolution of Yannis: From Turkish Nationalist to Jailed Greek Activist, 23.06.2017

[72] Zirve Yayınevi katliamı davasında 9 yıl sonra karar, 28.09.2016

[73] İletişim Başkanlığı Bahar Kalkanı Harekâtı'na destek için azınlık vakıflarına hazır metin gönderdi,T24,04.03.2020,

[74] პატრიარქი მესრობ II, სიცოცხლის ბოლო 11 წლის მანძილზე, ალცჰეიმერის დაავადების გამო მოვალეობას ვერ ასრულებდა, თუმცა ახალი პატრიარქის არჩევა, სახელმწიფოს ჩარევის გამო, მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ, 2019 წლის ბოლოს მოხერხდა. იხ: Ermeniler 85'inci patriğini seçiyor…, Sözcü, 10.12.2019; Melike Çapan - HDP Milletvekili Garo Paylan: Maşalyan devlete gebe,28.12.2019;Hükümetin Patrik seçimini engellemesine AYM'den ihlal kararı: Din özgürlüğü ihlal edildi, BirGün,11.07.2019

მუსლიმების წარმატება იყო. შესაბამისად, არამუსლიმების, თუნდაც თურქულად მოლაპარაკეების, ამ ეტაპზე ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის პროექტში ჩართვა, პოლიტიკური რისკი იყო, რომელსაც მუსლიმი ანატოლიელების და მუჰაჯირების უკმაყოფილების გამოწვევა შეეძლო; შესაბამისად, პაპა ეფთიმის და მისი თანამოაზრეების მსგავსი, ქრისტიანების თურქულ ეროვნულ სახელმწიფოში ინტეგრირების შანსი ძალიან დაბალი იყო. მნიშვნელოვანი ფაქტი იყო ისიც, რომ მუსტაფა ქემალი, თავადაც ერთობისა და პროგრესის საზოგადოების წევრი,[75] იზიარებდა პარტიის აზრს ეროვნული ბურჟუაზიის შექმნაზე და არსებული ქონების მუსლიმებზე გადანაწილების იდეებს, რაც, ახლად შექმნილ რესპუბლიკაში არამუსლიმებისათვის უბრალოდ ადგილს არ ტოვებდა.

მუსტაფა ქემალის მმართველობის 1925 წლის შემდგომ პერიოდში მართალია ისლამის როლი თანდათან შემცირდა და ზოგიერთ შემთხვევაში სახელმწიფომ აქტიურადაც შეზღუდა რელიგიის პოლიტიკური და საზოგადოებრივი გავლენა, მაგრამ ამის მიზეზი არა არამუსლიმი მოქალაქეების ინტეგრაციის სურვილი, არამედ ისლამურ-კონსერვატიული წრეებიდან მომდინარე რეალური და სავარაუდო საფრთხე გახლდათ. ამავე პერიოდში, მიუხედავად საზოგადოებაში რელიგიის როლის შემცირებისა, თურქეთის მოქალაქეობის და საემიგრაციო პოლიტიკაში ისლამი კვლავ მთავარ როლს თამაშობდა. მაგალითად ნატურალიზაციის ან თურქეთში ემიგრაციის უფლება, ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად, თითქმის ყოველთვის მხოლოდ მუსლიმებს ეძლეოდათ, არამუსლიმებისთვის, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ისლამზე გადასვლა ან სახელის და გვარის ისლამურ ყაიდაზე შეცვლა თურქეთის მოქალაქეობის მისაღებად, სავალდებულო იყო.[76]

თურქულ ნაციონალიზმში მართალია იყო მიმართულებაც, რომელიც ეთნიკურ ფაქტორზე მეტ ყურადღებას ამახვილებდა და საკმაოდ ნეგატიურად იყო განწყობილი ისლამის მიმართ, მაგრამ, ცივი ომის პოლიტიკურ კონიუნქტურაში, სადაც მნიშვნელოვანი როლი ეჭირა რელიგიურ პოპულიზმს, თურქულ ეთნონაციონალიზმი იძულებული გახდა ისლამოთურქიზმისათვის დაეთმო ასპარეზი და მისმა მიმდევრებმა, ჰუსეინ ნიჰალ ათსიზის მეთაურობით, ნაციონალისტური მოძრაობის პარტიის 1969 წლის კონგრესის შემდეგ პოლიტიკური გავლენა თანდათან დაკარგეს.[77] 1980 წლის შემდეგ კი, ისლამოთურქიზმი ფაქტობრივად თურქეთის დე ფაქტო დომინანტ იდეოლოგიად იქცა, თუმცა ქურთისტანის მუშათა პარტიის მიერ შეიარაღებული ბრძოლის კამპანიის დაწყების და ალევიზმის მზარდი პოლიტიზაციის პირობებში, არამუსლიმები, რომელთა რაოდენობაც რამდენიმე ათეული ათასი თუღა იყო, აღარავის ახსოვდა.

ცვლილებების მიუხედავად, თურქეთში „უმცირესობად“ დღემდე მხოლოდ არამუსლიმები ითვლებიან და ტერმინი უმცირესობა სტიგმატიზებულია, იმდენად, რომ, როგორც ამ სტატიის ზედა ნაწილში აღინიშნა, ალევიტები ან ქურთები, რომლებიც საკუთარი უფლებებისათვის

---

[75] Zürcher,2010,გვ.124

[76] Çağaptay,2006,გვ.77

[77] Ferit Salim Sanlı – Cumhuriyetçi Köylü Millet Partisinden Milliyetçi Hareket Partisine Tarihsel Süreç, İdeoloji ve Politika(1960 –1969), Doktora Tezi, Hacettepe Üniversitesi, Ankara,2017, გვ. 375

იბრძვიან, საკუთარი თავის აღსანიშნავად ტერმინ „ქვეყნის დამაარსებელ ძალას“ იყენებენ და არა უმცირესობას. თუმცა, ფართო საზოგადოება, დე ფაქტო, მათ როგორც უმცირესობებს ისე განიხილავს.

დღემდე, თურქეთის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი უკავია სხვადასხვა ეთნოგრაფიული თუ სოციალური ჯგუფების არამუსლიმურ წარმომავლობაზე სპეკულაციასაც, რაც თურქული იდენტობის ფორმირებაში ისლამის როლზე მიგვითითებს და საინტერესოა, რომ ულტრანაციონალისტურ წრეებში საკმაოდ პოპულარულია ამა თუ იმ, თურქეთის სახელმწიფოსთან დაპირისპირებული ძალის არამუსლიმების მიერ მართვასთან დაკავშირებული შეთქმულების თეორიები.[78] ასევე, პოპულარულია მოსაზრებები, რომ მრავალი წლის წინ ისლამზე გადასული და ასიმილირებული ჯგუფებიც კი რეალურად თურქები არ არიან, რისი მაგალითიცაა სალონიკელი „მოქცეულების“(Dönmeler)შემთხვევა, რომლებიც, დღემდე შეთქმულების თეორიების პოპულარულ სუბიექტებად რჩებიან. [79]

ამგვარად, დღეს, თურქეთში არსებული სიტუაცია გვაჩვენებს, რომ რეალურად, თურქეთის სრულუფლებიანი მოქალაქე, ოსმალეთის იმპერიის დროინდელი მუსლიმი მილეთის წევრების მემკვიდრეა, იმ განსხვავებით, რომ მას აქვს ვალდებულება დაემორჩილოს რელიგიურ საქმეთა სამმართველოს მიერ ფორმულირებულ ოფიციალურ ისლამს და გაითავისოს თურქული, როგორც მშობლიური ენა; არამუსლიმები კი ერთგვარ პარადოქსულ მდგომარეობაში არიან - შეუძლიათ გახდნენ პარლამენტის და საკრებულოების წევრები, მერები და ა.შ., მაგრამ სახელმწიფო სტრუქტურების დიდი ნაწილი და ძალოვანი უწყებები მათთვის დე ფაქტო დაკეტილია. არათურქი მუსლიმების შემთხვევაში კი, თუკი ეს უკანასკნელნი ღიად გამოხატავენ არათურქულ იდენტობას, გარკვეულ წრეებში, თითქმის ინსტინქტურად აქტიურდება რეფლექსი, რომ ეს უკანასკნელნი როგორმე „ჩამოაშორონ“ მუსლიმ თემს და „დაამტკიცონ“ რომ ისინი რეალურად სხვა რელიგიის მიმდევრები არიან. ეთნიკური მხარე კი ძალიან ჩახლართულია და მისი ინტერპრეტაციაც ძალიან არის პოლიტიკაზე დამოკიდებული.

---

[78] მაგალითად საკმაოდ პოპულარულია შეთქმულების თეორია, რომ ქურთისტანის მუშათა პარტიის ლიდერი სინამდვილეში სომეხია. ამ თეორიას პოპულარიზაციას უწევდა ისლამურ-ნაციონალისტური შეხედულებებით ცნობილი საჯარო ფიგურა კადირ მისიროღლუც მაგალითისთვის იხ: https://www.youtube.com/watch?v=ErSCJzQOYNM

[79] მაგალითად სონერ იალჩინის ორტომიანი რომანი(ავტორის მტკიცებით კვლევა) ეფენდი, რომელიც მოქცეულთა პოლიტიკურ გავლენაზე და კავშირებზე მოგვითხრობს, ბესტსელერად იქცა. რომანი იმდენად პოპულარული გახდა, რომ კვლევის საგნადაც იქცა. იხ: Türkay S. Nefes – Towards a Sociology of Conspiracy Theories: An Investigation into Conspiratorial Thinkings of the Dönmes,PHD thesis, The University of Kent at Canterbury,2010